

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2023 წლის 22 ივნისი

ქ. ონი

„ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №35 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/12/2022, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.118.016359) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ბაჩანა მარკოიშვილი

დანართი

თავი I

ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	20,367.9	18,721.4	10,911.3	7,810.1	15,389.9	6,583.4	8,806.5
გადასახადები	5,714.2	7,142.4	0.0	7,142.4	7,786.8	0.0	7,786.8
გრანტები	14,162.7	11,080.3	10,911.3	169.0	7,233.1	6,583.4	649.7
სხვა შემოსავლები	491.0	498.7	0.0	498.7	370.0	0.0	370.0
II. ხარჯები	4,272.2	6,341.5	491.6	5,849.8	7,941.7	592.4	7,349.3
შრომის ანაზღაურება	1,255.7	2,107.0	0.0	2,107.0	2,508.9	0.0	2,508.9
საქონელი და მომსახურება	1,543.4	2,513.9	431.7	2,082.2	2,927.0	525.0	2,402.0
პროცენტი	28.8	27.5	0.0	27.5	27.0	0.0	27.0
სუბსიდიები	901.1	1,196.2	0.0	1,196.2	1,826.0	0.0	1,826.0



სოციალური უზრუნველყოფა	148.2	271.2	53.0	218.2	262.2	60.8	201.4
სხვა ხარჯები	395.1	225.6	6.9	218.7	390.6	6.6	384.0
III. საოპერაციო საღი	16,095.7	12,379.9	10,419.7	1,960.2	7,448.2	5,991.0	1,457.2
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	12,489.3	15,014.8	12,869.2	2,145.5	10,962.3	7,440.5	3,521.8
ზრდა	13,103.7	15,058.6	12,869.2	2,189.4	11,012.3	7,440.5	3,571.8
კლება	614.4	43.8	0.0	43.8	50.0	0.0	50.0
V. მთლიანი საღი	3,606.4	-2,634.9	-2,449.6	-185.3	-3,514.1	-1,449.5	-2,064.6
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	3,550.8	-2,690.5	-2,449.6	-240.9	-3,569.7	-1,449.5	-2,120.2
ზრდა	3,550.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	3,550.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	2,690.5	2,449.6	240.9	3,569.7	1,449.5	2,120.2
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	2,690.5	2,449.6	240.9	3,569.7	1,449.5	2,120.2
VII. ვალდებულებების ცვლილება	-55.6	-55.6	0.0	-55.6	-55.6	0.0	-55.6
კლება	55.6	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
საშინაო	55.6	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
სესხები	55.6	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	20,982.3	18,765.2	10,911.3	7,853.9	15,439.9	6,583.4	8,856.5
შემოსავლები	20,367.9	18,721.4	10,911.3	7,810.1	15,389.9	6,583.4	8,806.5
არაფინანსური აქტივების კლება	614.4	43.8	-	43.8	50.0	-	50.0
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
გადასახდელები	17,431.5	21,455.7	13,360.9	8,094.8	19,009.6	8,032.9	10,976.7



ხარჯები	4,272.2	6,341.5	491.6	5,849.8	7,941.7	592.4	7,349.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	13,103.7	15,058.6	12,869.2	2,189.4	11,012.3	7,440.5	3,571.8
ვალდებულებების კლება	55.6	55.6	-	55.6	55.6	-	55.6
ნაშთის ცვლილება	3,550.8	- 2,690.5	- 2,449.6	- 240.9	- 3,569.7	- 1,449.5	- 2,120.2

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 15,389.9 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	20,367.9	18,721.4	10,911.3	7,810.1	15,389.9	6,583.4	8,806.5
გადასახადები	5,714.2	7,142.4	0.0	7,142.4	7,786.8	0.0	7,786.8
გრანტები	14,162.7	11,080.3	10,911.3	169.0	7,233.1	6,583.4	649.7
სხვა შემოსავლები	491.0	498.7	0.0	498.7	370.0	0.0	370.0

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 7,786.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	5,714.2	7,142.4	0.0	7,142.4	7,786.8	0.0	7,786.8
საშემოსავლო გადასახადი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	5,155.3	6,230.6	0.0	6,230.6	6,926.8	0.0	6,926.8
ქონების გადასახადი	558.9	911.8	0.0	911.8	860.0	0.0	860.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	512.8	848.5	0.0	848.5	845.0	0.0	845.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.2	0.1	0.0	0.1	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	12.1	18.8	0.0	18.8	0.0	0.0	0.0



სასოფლო სამეურნეო ნიშნულების მიწაზე	12.6	21.9	0.0	21.9	5.0	0.0	5.0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	21.3	22.5	0.0	22.5	10.0	0.0	10.0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 7,233.1 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	14,162.7	11,080.3	10,911.3	169.0	7,233.1	6,583.4	649.7
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	239.1	265.3	265.3		377.9	358.2	19.7
უცხო სახელმწიფოთა მთვრობებიდან მიღებული გრანტი	0.0	49.0		49.0	0.0		
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	13,923.6	10,766.0	10,646.0	120.0	6,855.3	6,225.3	630.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0.0			0.0		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	237.2	381.7	261.7	120.0	421.6	171.6	250.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0.0	125.6	125.6		380.0		380.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი მათ შორის:	13,686.4	10,258.8	10,258.8	0.0	6,053.6	6,053.6	0.0
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან	12,640.7	9,158.3	9,158.3		4,980.6	4,980.6	
მაღალმთიანობის პროგრამა	397.7	394.2	394.2		425.0	425.0	
მთავრობის სარეზერვო ფონდი	0.0	58.2	58.2		0.0		
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	648.0	648.0	648.0		648.0	648.0	

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 370.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი		2023 წლის პროექტი	
		მათ შორის		მათ შორის	



		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	491.0	498.7	0.0	498.7	370.0	0.0	370.0
შემოსავლები საკუთრებიდან	236.3	335.5	0.0	335.5	270.0	0.0	270.0
პროცენტები	60.8	167.9		167.9	100.0		100.0
დივიდენდები	0.0	30.0		30.0	0.0		
რენტა	175.6	137.6		137.6	170.0		170.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	9.6	14.9	0.0	14.9	20.0	0.0	20.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	9.5	14.8		14.8	20.0		20.0
სანებართვო მოსაკრებელი	4.7	8.3		8.3	10.0		10.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	4.8	6.5		6.5	10.0		10.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.1	0.1		0.1	0.0		
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	64.0	22.7		22.7	50.0		50.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	181.1	125.6		125.6	30.0		30.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0.0	0.0			0.0		

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 7,941.7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	4,272.2	6,341.5	491.6	5,849.8	7,941.7	592.4	7,349.3
შრომის ანაზღაურება	1,255.7	2,107.0	0.0	2,107.0	2,508.9	0.0	2,508.9
საქონელი და მომსახურება	1,543.4	2,513.9	431.7	2,082.2	2,927.0	525.0	2,402.0
პროცენტები	28.8	27.5	0.0	27.5	27.0	0.0	27.0
სუბსიდიები	901.1	1,196.2	0.0	1,196.2	1,826.0	0.0	1,826.0
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	148.2	271.2	53.0	218.2	262.2	60.8	201.4
სხვა ხარჯები	372.2	225.6	6.9	218.7	390.6	6.6	384.0



მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 10,962.3 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 11,012.3 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 50.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის პროექტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4.4	14.8	47.4
01 01	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	4.4	14.8	47.4
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	0.0	0.0	0.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	12,541.5	14,807.5	10,911.1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2,759.0	5,574.1	2,377.1
02 02	წყლის სისტემების განვითარება	467.3	636.3	292.1
02 03	გარე განათება	1.0	4.4	50.6
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	186.9	1,151.4	1,395.0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,470.9	1,879.0	2,921.4
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	618.3	529.4	703.5
02 07	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	651.3	750.4	748.0
02 08	სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	5,167.5	4,132.6	1,927.7
02 09	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	219.4	150.0	490.8
02 10	ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კალსტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის გზით	0.0	0.0	4.8
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	0.0	25.0	43.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	0.0	25.0	9.9
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0.0	0.0	0.0
03 03	უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები	0.0	0.0	33.1
04 00	განათლება	508.0	186.5	0.0
04 01	სკოლამდელი განათლება	0.0	0.0	0.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	442.4	91.9	0.0
04 03	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	65.6	94.6	0.0
04 04	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	45.1	24.8	10.8



05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	0.0	2.1	0.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	45.1	22.7	7.4
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0
05 04	მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება	0.0	0.0	3.4
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4.7	0.0	0.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	4.7	0.0	0.0
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	13,103.7	15,058.6	11,012.3

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	614.4	43.8	50.0
მირითადი აქტივები	1.3	34.7	0.0
მატერიალური მარაგები	0.0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	613.1	9.2	50.0
მიწა	613.1	9.2	50.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის პროექტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,884.5	2,935.8	3,514.0
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,879.0	2,930.3	3,492.8
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,879.0	2,930.3	3,446.0
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	46.9
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	15.7
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	5.5	5.4	5.5
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	3,753.6	7,101.6	4,405.1
7.4.5	ტრანსპორტი	2,878.3	5,905.9	2,687.4
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,878.3	5,905.9	2,687.4



7.4 7	ეკონომიკის სხვა დარგები	0.0	265.3	379.2
7.4 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	875.3	930.4	1,338.5
7.5	გარემოს დაცვა	5,678.1	4,749.8	2,742.9
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	348.3	525.0	675.2
7.5 2	ჩამდინარე წყლების მართვა	5,279.7	4,172.6	1,957.7
7.5 3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	50.1	52.2	110.0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	4,173.6	4,581.8	5,871.6
7.6 1	ბინათმშენებლობა	344.0	1,199.6	1,426.9
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	3,090.7	2,421.5	3,627.1
7.6 3	წყალმომარაგება	488.9	689.8	447.0
7.6 4	გარე განათება	250.0	270.8	370.6
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	39.4	40.5	55.0
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	39.4	40.5	55.0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	659.0	981.9	1,367.1
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	146.4	225.7	403.0
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	492.6	743.3	864.1
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	20.0	13.0	100.0
7.9	განათლება	914.8	706.0	629.7
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	734.5	443.2	450.0
7.9 2	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	180.4	262.8	171.7
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	180.4	262.8	171.7
7.9 8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0.0	0.0	8.0
7 10	სოციალური დაცვა	273.0	302.7	368.7
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	105.9	131.9	150.2
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	3.2	2.1	4.3
7 10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	4.9	4.1	8.0
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	48.2	87.5	98.8
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	110.8	77.2	107.4
	ს უ ლ	17,375.9	21,400.1	18,954.0



ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -3,514.1 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 7,448.2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	16,095.7	12,379.9	7,448.2
მთლიანი სალდო	3,606.4	-2,634.9	-3,514.1

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -3,569.7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	3,550.8	-2,690.5	-3,569.7
ზრდა	3,550.8	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	3,550.8	0.0	0.0
კლება	0.0	2,690.5	3,569.7
ვალუტა და დეპოზიტი	0.0	2,690.5	3,569.7

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 55.6 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას, რომლის გადახდა დაიწყო 2019 წლის ოქტომბერში და დასრულდება 2026 წლის აპრილში. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ონის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენდა 305.8 ათას ლარს, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 250.2 ათას ლარს, 2023 წლის 1 იანვრისათვის იქნება 194.6 ათასი ლარი, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით 139.0 ათასი ლარი.

თავი II

ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერა

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდო 02 00)

ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 12,234.4 ათასი ლარით. დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	12,234.4
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2,687.4
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	2,377.1



02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	310.3
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	-
02 02	წყლის სისტემის განვითარება	447.0
02 02 01	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	297.0
02 02 02	ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი	150.0
02 03	გარე განათება	370.6
02 03 01	გარე განათება ქსელის ექსპლოატაცია	320.0
02 03 01 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	80.0
02 03 01 02	გარე განათება ელექტროენერჯის ხარჯი	240.0
02 03 02	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	50.6
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	1,426.9
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	27.3
02 04 02	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	1,399.7
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,923.6
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	2,923.6
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	703.5
02 07	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	748.0
02 08	სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,957.7
02 09	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	590.5
02 10	ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კალსტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის გზით	379.2

1.1. პროგრამის დასახელება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტის პერსპექტიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მიმართულების მუდმივი სრულყოფა საგზაო ინფრასტრუქტურის სფეროში. კეთილმოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის გზებზე გადაადგილება იყოს უსაფრთხო და კომფორტული. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით და ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით. ადგილობრივი ბიუჯეტის თანხები ასევე ხმარდება გზების კაპიტალური შეკეთების დაფინანსებასა და გზების მიმდინარე შეკეთებას. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 35% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ორი ქვეპროგრამა:

- გზების კაპიტალური შეკეთება;
- გზების მიმდინარე შეკეთება.

პროგრამის მიზანია: ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და



ექსპლოატაციის გაზრდილი პერიოდი; მუნიციპალიტეტის გზებზე გადაადგილება იყოს უსაფრთხო და კომფორტული; მგზავრთა გადაადგილების შემცირებული დრო;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მოწესრიგებული და განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურა; გზების ექსპლოატაციის გაზრდილი პერიოდი.

1.1.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი გზების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ონის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია.

კერძოდ: დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება:

- სოფ. ლაგვანთა-საკაო-მაჟიეთი-ხიდემლების მიმართულებით გზის ასფალტო-ბეტონით კაპიტალური რეაბილიტაცია;

- სოფ. სევის გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;

- გომი-ჯინჭვისის გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;

- სოფელ შეუბანში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;

- სოფელ ლაგვანთაში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;

- სოფელ ფარახეთში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით;

პროექტების დაფინანსება მოხდება რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ქვეპროგრამით განისაზღვრა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება:

- სოფელ ღარში სამი სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია;

- სოფელ ხეთში შიდა საუბნო სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია;

- სოფელ გლოლაში დაზიანებული ორი სახიდე გადასასვლელისა და შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის სოფლებში დაზიანებული გზების კაპიტალურ რეაბილიტაციას.

პროექტის დაფინანსება მოხდება რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ამ პროგრამით გათვალისწინებულია წინა წლებში შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული საგარანტიო თანხები.

ქვეპროგრამის მიზანია: ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურა იყოს მოწესრიგებული; მუნიციპალიტეტის სოფლებში მისასვლელ გზებზე მგზავრთა გადაადგილება იყოს დროული, უსაფრთხო და კომფორტული;

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული მწობრიდან გამოსული გრუნტის გზის კაპიტალური რეაბილიტაცია ასფალტით, ასფალტო-ბეტონითა და ცემენტ-რკინა ბეტონით, ასევე გრუნტის გზის მოხრეშვა-მოშანდაგება სანიაღვრე არხებით და კიუვეტებით;

1.1.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი გზების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიმდინარე და პრიოდულ შეკეთებას ქალაქის და სოფლის ზონების თოვლისაგან და მეწყრისაგან წმენდას და სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს.

ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობა გადაადგილდეს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თავისუფლად სოფლის სრულ ტერიტორიაზე. გაიზარდოს სხვადასხვა პროგრამებით, სოციალური სერვისებით სარგებლობის ხარისხი და რაოდენობრივი მაჩვენებელი, რაც ცხოვრების ეკონომიკური დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მოვლილი და მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა.

1.2. პროგრამის დასახელება წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას



და ახალი ქსელის მოწყობას. წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან:
- წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია;
- წყლის სისტემის ექსპლოატაცია;
პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებული ტერიტორია უზრუნველყოფილი იყოს გამართული წყლის სისტემით რათა მოსახლეობას მიეწოდოს ტექნიკურად სუფთა სასმელი წყლი, შეფერხების გარეშე.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში გამართული სასმელი წყლის სისტემა.

1.2.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის სისტემების ცენტრალური მაგისტრალისა და შიდა სასოფლო ქსელის სრული რეაბილიტაცია, კერძოდ: დაგეგმილია სოფელ სამთისში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, რომლის დაფინანსებაც მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში. ასევე ამ პროგრამით გათვალისწინებულია სოფელ გლოლაში სტიქიის შედეგად დაზიანებული წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები და წინა წლებში შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული საგარანტიო თანხები.

ქვეპროგრამის მიზანია: სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ტექნიკურად სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა შეფერხების გარეშე, სოფლებში ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის სოფლებში რეაბილიტირებული დაზიანებული სასმელი წყლის სისტემა;

1.2.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი (პროგრამული კოდი 02 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის სოფლებში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას.

ქვეპროგრამის მიზანია: სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ტექნიკურად სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა შეფერხების გარეშე, სოფლებში ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების ქსელში აღმოფხვრილი დაზიანებები.

1.3. პროგრამის დასახელება გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ონში და სოფლების ძირითად ნაწილში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 90%. გარე განათების პროგრამა მოიცავს 2 ქვეპროგრამას:

- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია;
- კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში;

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის გარე განათების ქსელით სრულად დაფარვა; მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება; პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების დროული აღმოფხვრა;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის გარე განათების ქსელით სრულად დაფარვა; გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება.

1.3.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 03 01)



ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ონში და სოფლების გარკვეულ ნაწილში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 90%. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას;
- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას;
- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.

ქვეპროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას (240.0 ათ.ლარი).

ქვეპროგრამის მიზანია: კომფორტული გარემოს შექმნა უსაფრთხო გადაადგილებისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.

1.3.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში (პროგრამული კოდი 02 03 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში გარკვეულ უბნებში გარე განათების ახალი წერტილების დამატება, რეაბილიტაცია კერძოდ მოხდება სოფელ ღარში გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, ასევე ახალი გარე განათების დამატებული წერტილების აბონენტად აყვანის ხარჯი.

ქვეპროგრამის მიზანია: კომფორტული გარემოს შექმნა უსაფრთხო გადაადგილებისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების გარეშე დარჩენილი უბნების დაფარვა გარე განათების ქსელით.

1.4. პროგრამის დასახელება მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამა ითვალისწინებს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მოწესრიგება, რეაბილიტაციას სასურველი იერსახისა და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნის მიზნით, რომლის ფარგლებშიც თანამონაწილეობის პრინციპით დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები მოსახლეობის განცხადებების და არსებული მდგომარეობის სიმძიმის გათვალისწინებით. პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში ბალანსზე რიცხული შენობების რეაბილიტაცია და ახალი შენობების მშენებლობა, რომლის დაფინანსება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერითა და თანამონაწილეობით ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით. პროგრამა მოიცავს 2 ქვეპროგრამას:

- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია;
- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია;

პროგრამის მიზანია: რეაბილიტირებული და მოწესრიგებული იქნას საცხოვრებელი კორპუსები და ბალანსზე რიცხული შენობები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: რეაბილიტირებული და მოწესრიგებული საცხოვრებელი კორპუსები; ბალანსზე რიცხული შენობები.

1.4.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბინათმესაკუთრეთა საკუთრებაში



არსებული ქონების რეაბილიტაციის ხელშეწყობას, რომლის ფარგლებშიც თანამონაწილეობის პრინციპით დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები მოსახლეობის განცხადებების და არსებული მდგომარეობის სიმძიმის გათვალისწინებით. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებთან შეხვედრები მიმდინარე პროგრამების გაცნობის მიზნით. **ქვეპროგრამის მიზანია:** არსებული პრობლემების გამოვლენა, მათი მოგვარებისათვის საჭირო გზებისა და მეთოდების ერთობლივად გადაწყვეტა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: არსებული პრობლემების გამოვლენა, მათი მოგვარებისათვის საჭირო გზებისა და მეთოდების ერთობლივად გადაწყვეტა. რეზილიტირებული და მოწესრიგებული იქნას საცხოვრებელი კორპუსები.

1.4.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპუატაცია და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ონში 2022 წელს აშენებული საჭიდაო დარბაზის კეთილმოწყობა და აღჭურვა, რომლის დაფინანსება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერითა და თანამონაწილეობით ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით. ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით შესრულდება მერიის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფელ სევამი და საკაოში სპორტული მოედნის მოწყობა, ხოლო სლოვაკეთის რესპუბლიკის საელჩოს მიერ გამოყოფილი გრანტითა და თანამონაწილეობით ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით მოხდება ბეერშევას სახელობის სკვერში არსებული სპორტული დარბაზის შენობაში საცოცი კედლის მოწყობა და მინი საფეხბურთო სტადიონის სრული რეაბილიტაცია. ასევე ამ პროგრამით გათვალისწინებულია წინა წლებში შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული საგარანტიო თანხები. **ქვეპროგრამის მიზანია:** საჭიროებების გამოვლენა ბალანსზე რიცხული შენობების რეაბილიტაციასა და მშენებლობაზე.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: რეზილიტირებული და მოწესრიგებული იქნას ბალანსზე რიცხული შენობები.

1.5. პროგრამის დასახელება კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 05)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქ. ონში საზოდადოდორივი დანიშნულების სივრცეების კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის პროექტი გულისხმობს ვახტანგ მე-6 და დემეტრე II ქუჩების გარკვეულ მონაკვეთებზე საფეხმავლო ბილიკების, ლობეების, გამწვანების ზოლების, გარე განათების მოწყობას. ასევე მოხდება ქ.ონში აგრარული ბაზრის მშენებლობა და ტერიტორიის კეთილმოწყობა, ქალაქ ონში გივი დგვარელის ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაო, სორტუანზე არსებული აუზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და ქალაქ ონში 20 მეტრიანი სადროშე ბოძის მონტაჟი. პროექტის განხორციელება ითვალისწინებს ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარებას. რომლის დაფინანსება მოხდება რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონიდან და თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ამ პროგრამით გათვალისწინებულია ქ. ონში სორტუანის მინერალურ წყალზე ღია აუზის მოწყობის დამატებითი სამუშაოების შესრულება რომლის დაფინანსება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტის გასული წლის ნარჩენი თანხიდან. ასევე ამ პროგრამით გათვალისწინებულია წინა წლებში შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული საგარანტიო თანხები. **პროგრამის მიზანია:** ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება, ქალაქის იერსახის შეცვლა-გალამაზება, ხელი შეეწყოს ტურიზმის განვითარებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: განვითარებული ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურა და ტურიზმისთვის მიმზიდველი გარემო; ადგილობრივი მოსახლეობისათვის და ტურისტებისათვის შექმნილი სამკურნალოდ სასურველი პირობები.

1.6. პროგრამის დასახელება საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა (პროგრამული კოდი 02 06)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა და მიმდინარე სამუშაოების სახედამხედველო მომსახურება. იგეგმება 7 პროექტის შესყიდვა: 1. საკრებულოს შენობის



რეკონსტრუქციის; 2. გვერითის მჭავეწყალზე მისასვლელი გზის მოწყობის; 3. შეუბნის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის; 4. ქალაქის კეთილმოწყობის პროექტების მეორე ეტაპი (ლებანიძე, ვახტანგ მე-6 და ბარათაშვილის ქუჩების); 5. ბრილში მდ.რიონზე გადასასვლელი ხიდის მოწყობის; 6. სოფელ ლებიდან თევრეშო-შიუკაჭალა-სასვანოს გორამდე გზის რეაბილიტაციისათვის; 7. შქმერში ქვაგახეთქილასთან გადმოსახედის მოწყობისათვის; 8. სოფ ლებში (ჭალეების უბანი), პატარა ლებში, უწერაში (ყამიერეთ უბანი) ნიგვზნარაში და სორში მდინარე რიონზე პრევენციის მიზნით ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობისათვის; 9. ქ.ონში გ.მაისურაძის ქ. N4-ში მდებარე ძველი საბავშვო ბაღის დემონტაჟის; 10. ქ.ონში დგვარელის ქ. N8-ში მდებარე ყოფილი საქვების შენობის დემონტაჟის; 11. ქ.ონში ვახტანგ VI-ის ქ. N 8-ში მდებარე ყოფილი სანეპიდსადგურის შენობის დემონტაჟის; 12. სოფელ პატარა ლებში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის.

პროგრამის მიზანია: ხარისხიანი საპროექტო დოკუმენტაციის და სამუშაოების შესყიდვა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: შეიქმნას მაქსიმალურად ზუსტი და ხარისხიანი საპროექტო დოკუმენტაცია და მოხდეს მიმდინარე სამუშაოების კონტროლი.

1.7. პროგრამის დასახელება სოფლის პროგრამის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 02 07)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამით განხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თახებით დაფინანსება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასევე საკუთარი შემოსავლებით წილობრივად. სამუშაოების შესრულება განხორციელდება სოფლის მოსახლეობის მიერ შერჩეული პრიორიტეტით, რაც დამტკიცებულია საკრებულოს განკარგულებით.

პროგრამის მიზანია: გაუმჯობესებული იქნას სოფლების ინფრასტრუქტურა და სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა სოფლად

1.8. პროგრამის დასახელება სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 08)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქ. ონის ტერიტორიაზე უხვი ნალექის დროს არსებული სანიაღვრე სისტემები ვერ უზრუნველყოფს წყლის ნაკადის შეჩერებას. ხდება საგზაო ინფრასტრუქტურისა და კერძო საკარმიდამო ნაკვეთების და კომერციული ფართების დატბორვა, საფრთხე ექმნება მოქალაქეთა ჯანმრთელობას. არსებული მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში იგეგმება ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე სისტემების წმენდა, რათა უხვი ნალექის პირობებში სანიაღვრე სისტემამ დაუბრკოლებლად შეძლოს ზედაპირული და ფერდობებიდან ჩამომავალი წყლის ნაკადის გატარება, რომ თავიდან ავიცილოთ ქალაქის ტერიტორიის დატბორვა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების დაზიანება. პროგრამის ფარგლებში იგეგმება სოფლებში უწერაში და წმენდაურში წყალანირების სისტემის მოწყობა. დაფინანსება მოხდება წილობრივად ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული სოფელ გლოლაში მდინარე ბოყოსა და ილინეს კალაპოტის წმენდისა და ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებს, ასევე ამ პროგრამით გათვალისწინებულია წინა წლებში შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული საგარანტიო თანხები.

პროგრამის მიზანია: მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილება. ქალაქსა და სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ყოფითი პირობებისა გაუმჯობესება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: სტიქიის უარყოფითი შედეგების პრევენცია. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

1.9. პროგრამის დასახელება მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება (პროგრამული კოდი 02 09)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახური

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (ონი-ჭიორა-ლები-ონი; ონი-უწერა-შოვი-ონი; ონი-ქვედი-ონი; ონი-საკაო-მაჟიეთი-ხიდეშლები-ონი; ონი-წედისი-ონი; ონი-ირი-ონი; ონი-ცხმორი-ბაჯიხევი-ონი) და მის ფარგლებს გარეთ (ონი-ამბროლაური-ონი) სატრანსპორტო სისტემის შექმნა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას. პროგრამის ფარგლებში ასევე მოხდება ერთი ერთეული



ნაგავმზიდი ავტომანქანისა და ორი ავტობუსის შექმნა.

პროგრამის მიზანია: მოსახლეობის უსაფრთხო ტრანსპორტირება. დასუფთავებისთვის საჭირო დროის შემცირება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დროული და უსაფრთხო გადაადგილება.

1.10. პროგრამის დასახელება ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კლასტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის გზით (პროგრამული კოდი 02 10)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში იგეგმება ონის მუნიციპალიტეტში 2 ბიზნეს კლასტერის შექმნა (თითოეულში მინიმუმ 15 წევრი მიკრო, მცირე და საშუალო კომპანია). კლასტერების და მათი წევრი მცირე და საშუალო კომპანიების უნარების გაუმჯობესება და საპილოტე პროექტების განხორციელება ქვე-გრანტის კომპონენტის საშუალებით. საინვესტიციო მიმზიდველობის გაუმჯობესება.

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების გაზრდილი კონკურენტუნარიანობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ინვესტიციების ზრდა. გაუმჯობესებული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება, საინვესტიციო მიმზიდველობის გაუმჯობესება.

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 785.2 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

